შემოსავლების სამსახური

თბილისი 0114, გორგასლის ქ. 16
ტელ: +995 (32) 226 11 19, +995 (32) 226 11 85
ელ. ფოსტა: info@rs.ge
ვებ საიტი: www.rs.ge
საბაჟო დეპარტამენტი

68027-21-10-15-2-201409251321

N 21-10-15/68027

25/09/2014

შპს ,, KHILI JUICE ”-ს (ს/ნ - 415086034)
მისამართი: ქ.ფოთი, ნავსადგურის ყოფილი
ექსტენსიური განვითარების ზონა, ნაკვეთის N545,
ნაკვეთის შიდა ნომერი 1D-8

გაცნობებთ, რომ 2012 წლის 14 სექტემბერს ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში 11113/D-35356 აღრიცხვის მოწმობით, გამოცხადდა შპს ,,KHILI JUICE”-ის (ს/ნ - 415086034) სახელზე ჩამოსული კონტეინერი MEDU6348594, რომელშიც თანმხლები დოკუმენტების თანახმად განთავსებული იყო შპს ,,KHILI JUICE”-ის კუთვნილი საქონელი (წვენის კონცენტრატი) 12681 ბოთლი. აღნიშნული საქონელი შემოტანის შემდეგ გადაიტვირთა კონტეინერში FSCU3720739, რომელიც დღემდე განთავსებულია ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საბაჟო გამშვებ პუნქტში. ა/წლის 23 სექტემბერს საქონლის დათვალიერების შედეგად დადგილნა, რომ კონტეინერში FSCU3720739 განთავსებული საქონლის ფაქტიური რაოდენობა შეადგენს 14239 ცალ სხვადასხვა მოცულობის პოლიეთილენის ქილას, დათვალიერების შემდეგ კონტეინერი FSCU3720739 დაილუქა საბაჟო ლუქით GE945814.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 217-ე მუხლის თანახმად გევალებოდათ ზოგადი დეკლარირებიდან 30 დღის ვადაში განგეხორციელებინათ სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრის პროცედურები, რომელიც თქვენს მიერ არ იქნა შესრულებული.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მითითებული ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად გეძლევათ ვადა წერილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღე, წინააღმდეგ შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს მიერ განხორციელდება საქონლის განკარგვის ღონისძიებები საქართველოს საგადასახადო კოდექსის 221-ე მუხლის შესაბამისად.

პატივისცემით,
გივი სხილაძე

საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსი

საბაჟო გამშვები პუნქტი "ფოთისა და ყულევის პორტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა"